# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი №ᲚᲗ/43-2007 „ᲚᲗ“ აგვისტოს 2007 წ.

# ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

**ახალქალაქის, საჩხერისა და ხაშურის რაიონული სასამართლოების შექმნასთან დაკავშირებით ახალქალაქის, ნინოწმინდის, საჩხერის, ჭიათურის, ხაშურისა და ქარელის რაიონული სასამართლოების სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ**

„რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 13 თებერვლის №106 ბრძანებულების შესაბამისად, ახალქალაქის, ნინოწმინდის, საჩხერის, ჭიათურის, ხაშურისა და ქარელის რაიონული სასამართლოების ლიკვიდაციასა და ახალქალაქის, საჩხერისა და ხაშურის რაიონული სასამართლოებს შექმნასთან დაკავშირებით:

1. შეიქმნას სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

| | | |
|---|---|---|
| გიორგი ხიზანიშვილი | – | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (კომისიის თავმჯდომარე); |
| გიორგი პავლაძე | – | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი; |
| თამარ სულაქველიძე | - | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკადრო საკითხთა და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი; |
| დიმიტრი გეგელია | – | საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე; |
| რატი ცხაკაია | - | საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საარქივო განყოფილების უფროსი; |
| კობა ყოლბაია | - | საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; |

| | |
|---|---|
| გიორგი კვირტია | - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – საწყობის გამგე; |
| არარატ ესოიანი | – ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე; |
| არარატ ჩობანიანი | – ნინოწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი; |
| ივანე ყიფიანი | – საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი; |
| მალხაზ ჩუბინიძე | – ჭიათურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი; |
| მევლუდ ხათაშვილი | – ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე; |
| ზაზა რამიშვილი | – ქარელის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე; |
| გოჰარიკ ნალბანდიანი | - ახალქალაქის რაიონული სასამართლოს კანცელარიის გამგე; |
| მარინა მოსოიანი | - ნინოწმინდის რაიონული სასამართლოს კანცელარიის გამგე; |
| ლამარა ხუტუნიშვილი | - საჩხერის რაიონული სასამართლოს კანცელარიის გამგე; |
| ხათუნა ჯაოშვილი | - ჭიათურის რაიონული სასამართლოს კანცელარიის გამგე; |
| ირმა ქიტიაშვილი | - ხაშურის რაიონული სასამართლოს კანცელარიის გამგე; |
| ვალერი ბადუაშვილი | - ქარელის რაიონული სასამართლოს კანცელარიის გამგე. |

2. სალიკვიდაციო კომისიამ:

ა) 2007 წლის 1 მარტამდე უზრუნველყოს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონული სასამართლოების:

ა.ა) წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაციისა და მათი ახალქალაქის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

ა.ბ) არსებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების სრული ინვენტარიზაცია და სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა.გ) აპარატების მოხელეების გაფრთხილება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით;

ა.დ) ლიკვიდაციასთან და ახალქალაქის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

ბ) 2007 წლის 1 მარტამდე უზრუნველყოს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული საჩხერისა და ჭიათურის რაიონული სასამართლოების:

ბ.ა) წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაციისა და მათი საჩხერის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

ბ.ბ) არსებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების სრული ინვენტარიზაცია და სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ.გ) აპარატების მოხელეების გაფრთხილება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით;

ბ.დ) ლიკვიდაციასთან და ახალქალაქის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

გ) 2007 წლის 1 მაისამდე უზრუნველყოს ლიკვიდაციას დაქვემდებარებული ხაშურისა და ქარელის რაიონული სასამართლოების:

გ.ა) წარმოებაში არსებული საქმეების, დოკუმენტაციისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწერა-ინვენტარიზაციისა და მათი ხაშურის რაიონული სასამართლოსათვის გადაცემის ორგანიზება;

გ.ბ) არსებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების სრული ინვენტარიზაცია და სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ.გ) აპარატების მოხელეების გაფრთხილება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით;

გ.დ) ლიკვიდაციასთან და ახალქალაქის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

3. გაწეული საქმიანობის შესახებ კომისიამ ანგარიში წარუდგინოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი